წერილის ნომერი: **18-01181623393**

თარიღი: **11.06.2018**

ადრესატი:
თეონა ახალაშვილი

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური - III-IV კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილება - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი) მოვალეობის შემსრულებელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა, თქვენი 2018 წლის 05 ივნისის #60-0118156109 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (მოქალაქე სევდინ მაილოვმა #AR1598218 განცხადებით წარმოდგენილი გამწვანების პროექტი).

გაცნობებთ, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-47 მუხლის პირველი პუნქტის ნ[1] ქვეპუნქტის საფუძველზე, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გამწვანების პროექტი არის ხარვეზიანი, კერძოდ, მასში არ არის მითითებული გასაშენებელი მწვანე ნარგავების სიმაღლე, გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი, ასევე, არ არის წარმოდგენილი გასაშენებელი ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება. გარდა ამისა, არასწორად არის მითითებული გასაშენებელი მწვანე ნარგავების მოვლის ხანგრძლივობა, კერძოდ, 1 წელი (მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობის ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 წლის ვადით).

დამატებით მოგახსენებთ, რომ მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სამსახური უპირატესობას ანიჭებს ხეების დარგვას ბუჩქებთან და ყვავილებთან მიმართებით. გასამწვანებელი მცენარეების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგი პროპორციით: 10-12 კვ. მეტრი 1 ძირი კვიპაროსის სახეობისთვის, ხოლო 20-25 კვ. მეტრი დანარჩენი წიწვოვანი და ასევე ფოთლოვანი ხეებისთვის; ამდენად, განმცხადებელმა გამწვანების პროექტში უნდა გაითვალისწინოს წიწვოვანი ანდა ფოთლოვანი ხეები (ფოთლოვანის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო, წიწვოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3 მეტრი (ნერგის გარშემოწერილობა არანაკლებ- 14 სანტიმეტრი)).

ასევე მოგახსენებთ, რომ განმცხადებელმა დასარგავი ხე-მცენარეების სახეობა უნდა აარჩიოს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან.

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია.

აგრეთვე გაცნობებთ, რომ საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

შესაბამისად, სამსახურმა, რომ მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს სრულყოფილი გამწვანების პროექტი.

პატივისცემით,

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური -

სატყეო პოლიტიკის განყოფილება -
მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)



ნიკოლოზ ბურდული

შპს „ნიუ პოინტ“

საქართველო, თბილისი, მგალობლიშვილის ქ.№03;
ტელ: (+995 32) 2945808 მობ: (+995) 557 704433;
www. newpoint.ge

LTD "NEW POINT"

03 mgaloblishvili street, Tbilisi, Georgia,
tel: (+995 32) 2945808; cell phone: (+995) 557 704433
info@newpoint.ge

გამწვანების პროექტი

საკადასტრო კოდი: 01.19.15.003.017

მისამართი: ქალაქი თბილისი, გზატკეცილი კახეთი, ხილბოსტნეულის ბაზის მიმდებარედ

ფართობი: 1000,0 კვ.მ

ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო

მესაკუთრე: სევდინ მაილოვი (P/N:20001003933)

განმარტებითი ბარათი:

გამწვანების პროექტი ითვალისწინებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (კვმ და ასახული კოიფიციენტში): K3=151.97/1000=0,2 გასამწვანელი ფართობი: 151,97 კვ.მ
გამწვანების პროექტის დოკუმენტაცია: #1. გენგეგმა
#2. დენდროგეგმა #3.
ნარგავების დახასიათება - /დენდრო კლასიფიკაცია/
#4. რენდერი - /სხვადასხვა რაკურსით A, B, C / არსებული მიწის ნაკვეთი თავისუფალია მწვანე ნარგაობისგან, აქედან გამომდინარე გამწვანების პროექტი არ შეიცავს მწვანე ნარგაობის გადარგვას ან საკომპესაციო რგავას.

- გამწვანების პროექტიის მიხედვით იქნება გამოყენებული როგორც მარადმწვანე ასევე ფოთოლმცვენი და მოყვავილე ნერგი. ნარგავების რაოდენობა, განლაგება - იხილეთ - #2. დენდროგეგმა ნარგავების დახასიათება: ხნოვანება, ზომა - იხილეთ - #3. ნარგავების დახასიათება - /დენდრო კლასიფიკაცია/
  ბალახის საფარის შექმნა: - ბალახის თესლის მოთესვა; - სასურველია გამოყენებული იქნეს არანაკლებ 3-კომპონენტიანი ბალახის თესლი - მონაცემები მოცემულია - #3. ნარგავების დახასიათება - /დენდრო კლასიფიკაცია/.
- გამწვანების პროექტის შესრულების ხანგრძლივობა: - 20- სამუშაო დღე - დასრულების თარიღი: **2019 წლის 9 თებერვალი.**
- გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირი: მიხეილ აბრამიშვილი (პ/ნ: 12001025224) (იხილეთ ხელშეკრულება #1 დანართი)
- გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლის ხანგრძლივობა ითვალისწინებს არანაკლებ 3- წელს - ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხის მგებელ პირთან დადებული ხელშკრულების საფუძველზე.

დანართი 1 (ერთი) ფურცელი.


პროექტის ავტორი: არჩილ ვეფხვაძე (პ/ნ: 01017028748)

დირექტორი: გ. კირკიტაძე


საქართველო. შპს "ნიუ პოინტ" NEW POINT 404883943 GEORGIA. "NEW POINT" LTD




25/05/2018 წ.

№-1 გეგმა



29.11
წითელი ხაზი
2.39
2.05
2.05
2.35
3.19
14.51 m²
14.56 m²
12.50 m²
12.50 m²
14.33 m²
19.45 m²
6.10
15.14
0.15
2.70
2.30
4.00
2.30
2.80
ბალანსის საფარი
2.30
34.06
ბ
ა
546.82
547.02
547.29
426,58 m²
546.73
547.36
547.29
0.80
2.25
64.12 m²
ბალანსის საფარი
წყალმიმღები მილი
1
2
3
4
5
28.50
0.20

№-3 ნარგავების დახასიათება - / დენდრო კლასიფიკაცია /



	დასარგავი ნერგის სახეობა და მახასიათებელი	სიმაღლე	ღეროს-დიამეტრი	ხნოვანება	რაოდენობა
1	 - ჰორიზონტ. კიპარისი Cupressus Horizontalis - წიწვოვანი ხე : გვალვა გაძლე - სწრაფად მზარდი	3.20 - მ.	14 სმ. დან.	6 - 10 - წლის -	- 9ც.
2	 - კავკასიური ცაცხვი tilia begonifolia - ფოთლმცვენი ხე : ჩრდილის მოყვარული - საშუალოდ მზარდი	4.00 - მ.	14 სმ. დან.	6 - 10 - წლის -	- 4ც.
3	 - ირმის რქა Lagerstroemia indica - ფოთლმცვენი ხე : გვალვა გაძლე - საშუალოდ მზარდი	2.50 - მ.	7-14 სმ. დან.	5 - 10 - წლის -	- 2ც.
4	 - ოქროსფერი ნანა ტუია thuia orientalis nana - წიწვოვანი ბუჩქი : გვალვა გაძლე - სწრაფად მზარდი	0.50 - მ.	-	4 - 5 - წლის -	- 12ც.
5	 - გართხმული ღვია juniperus mint - წიწვოვანი ბუჩქი : გვალვა გაძლე - სწრაფად მზარდი	0.70 D.	-	3 - 4 - წლის -	- 4ც.
6	 - ყვავილის ბუჩქი : - თეთრი ვარდი rosa		-	2 - 3 - წლის -	- 12ც.
7	 - მოსათესი ბალახის საფარი სასურველია არანაკლებ 3 კომპონენტიანი თესლი : - festuca rubra rubra - lolium westerwoldicum - lolium perenne		-	-	- 151.97 კვმ. /1კვმ. - 40 გრმ./ სულ: - 6,7 კგ.

№-2 დენდრო გეგმა





① – ჰორიზონტ. კიპარისი – 9ც.
Cupressus Horizontalis
სიმაღლე – 3.20 მ.
ღეროს დიამეტრი – 14– სმ. დან
ხნოვანება – 6–10 წ.



② – კავკასიური ცაცხვი – 4ც.
tilia begonifolia
სიმაღლე – 4.00 მ.
ღეროს დიამეტრი – 14– სმ. დან
ხნოვანება – 6–10 წ.



③ – ირმის რქა – 2ც.
Lagerstroemia indica
სიმაღლე – 2.50 მ.
ღეროს დიამეტრი – 7 – 14– სმ. დან
ხნოვანება – 5–10 წ.



④ – ოქროსფერი ნანა ტუია – 12ც.
thuia orientalis nana
სიმაღლე – 0.50 მ.
ხნოვანება – 4–5 წ.



⑤ – გართხმული ღვია – 4ც.
juniperus mint
დიამეტრი – 0.70 მ.
ხნოვანება – 4–5 წ.




⑥ – თეთრი ვარდი – 12ც.
rosa




⑦ – ბალახის საფარი – 151.97კვმ.
სასურველია არანაკლებ 3 კომპონენტიანი თესლი :
- festuca rubra rubra
- lolium westerwoldicum
- lolium perenne


№-4 - A



№-4 - B



№-4 - C



ხელშეკრულება №01

12 ივნისი 2018 წ. ქ.თბილისი

ჩვენ, მხარეები, ერთის მხრივ სევდინ მაილოვი (პ/ნ: 20001003933) (შემდგომში „დამკვეთად“ წოდებული) და მეორეს მხრივ მიხეილ აბრამიშვილი (შემდგომში „შემსრულებლად“ წოდებული), ვდებთ ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და მოქმედების ვადა

1.1 „დამკვეთი“ უკვეთავს, ხოლო „შემსრულებელი“ იღებს ვალდებულებას გაშენებული მწვანე ნარგავების მოვალ-პატრონობაზე. მისამართზე: ქალაქი თბილისი, გზატკეცილი კახეთი, ხილბოსტნეულის ბაზის მიმდებარედ. ს/კ: 01.19.15.003.017

1.2 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

1.3 შემსრულებელი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულების პუნქტში გაწერილი მომსახურება გონივრულ ვადაში რაც დადგენილი იქნება დაკვეთის წერილში საერთო შეთანხმების საფუძველზე.

2. სამუშაოს ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

2.1 1.1 პუნქტით განსაზღვრული სამუშაოს ღირებულება ყოველ თვიურად შეადგენს 150 (ას ორმოცდაათ) ლარს კანონით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

2.2 შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება ხორციელდება ყოველი თვის ბოლო სამუშაო დღეს უნაღდო ანგარიშსწორებით.

2.3 ხელშეკრულების მოქმედების ვადის ათვლა (ძალაში შესვლა) მოხდება გამწვანების პროექტის დასრულების დღიდან რომელიც საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით არის 2019 წლის 9 თებერვალი.

2.4 მომსახურების ვადა განსაზღვრულია ხრლშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან არანაკლებ 3 (სამი წელი)

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1 „დამკვეთი“ ვალდებულია:

3.1.1. უზრუნველყოს შესასრულებელ ობიექტზე სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო პირობების დაცვა, შემსრულებელი უზრუნველყოს ყველა საჭირო ინვენტარით და სახარჯო მასალით.

3.1.2. მოახდინოს უსაფრთხოების ნორმების შესრულებაზე კონტროლი.

3.1.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად მოახდინოს მომსახურების ღირებულების ანგარიშსწორება.

3.2 „შემსრულებელი“ ვალდებულია:

3.2.1. ხელშეკრულების 2.3 პუნქტში მითითებული თარიღიდან შეუდგეს სამუშაოს შესრულებას;

3.2.2. შეასრულოს სამუშაო ხარისხიანად და დროულად. შესრულებულ სამუშაოში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში საკუთარი ძალებით და სახსრებით უზრუნველყოს მისი გამოსწორება მოკლე ვადებში.

3.2.3. უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს გამო მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. სამუშაოს დროულად დაუსრულებლობის შემთხვევაში „შემსრულებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველთვიურად ასანაზღაურებელი თანხის 0.2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4.2 თუ „დამკვეთმა“ სამუშაოს მიმდინარეობის პროცესში გადაწყვიტა სამუშაოთა მოცულობაში ცვლილებების შეტანა, მოსალოდნელ ცვლილებებზე ის აცნობებს „შემსრულებელს“ წერილობით;

5. განსაკუთრებული პირობები

5.1 „დამკვეთი“ პასუხს არ აგებს სამუშაოს შესრულების პროცესში „შემსრულებლის“ ტექნიკურ უსაფრთხოებაზე;

5.2 ფორსმაჟორული მდგომარეობის შემთხვევაში მხარეებს ეხსნებათ ამ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ასეთი მდგომარეობის არსებობის განმავლობაში;

5.3 მხარეები შეთანხმდნენ, რომ მუშაობის პროცესში წამოჭრილ სადაო საკითხებს გადაჭრიან ურთიერთშეთანხმებით და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ სასამართლოს;

6. დასკვნითი დებულებები

6.1 ამ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება მხარეთა ხელმოწერით დადასტურებული წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

6.2 ეს ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი მხარეებისთვის და ორივეს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა;

7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსრულებელი“
მიხეილ აბრამიშვილი
პ/ნ 12001025224
გარდაბნის რაიონი, სოფელი ნორიო
სს " საქართველოს ბანკი,, საბანკო
კოდი - BAGAGE22
ა/ნ – GE21BG 0000000140790500GEL

მიხეილ აბრამიშვილი

„დამკვეთი“
სევდინ მაილოვი (პ/ნ: 20001003933)
თელავი ს. ყარაჯალა 25–ე ქ. N 39

სევდინ მაილოვი

ხელშეკრულება №01

20 მაისი 2018 წ.

ქ. თბილისი

ჩვენ, მხარეებმა, ერთის მხრივ შ.პ.ს. „ნიუ პოინტ“-მა (შემდგომში „დამკვეთად“ წოდებული) მისი დირექტორის გიორგი კირკიტაძის სახით და მეორეს მხრივ ფიზიკურმა პირმა არჩილ ვეფხვაძემ (შემდგომში „შემსრულებლად“ წოდებული), დავდეთ ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და მოქმედების ვადა

1.1 „დამკვეთი“ უკვეთავს, ხოლო „შემსრულებელი“ იღებს ვალდებულებას შეადგინოს მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტი მისამართზე: ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , ხილბოსტნეულის ბაზის მიმდებარედ ს.კ: 01.19.15.003.017

1.2 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

1.3 შემსრულებელი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულების პუნქტში გაწერილი მომსახურება გონივრულ ვადაში რაც დადგენილი იქნება დაკვეთის წერილში საერთო შეთანხმების საფუძველზე.

2. სამუშაოს ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

2.1 1.1 პუნქტით განსაზღვრული სამუშაოს ღირებულება შეადგენს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარს ყველა კანონით დადგენილი გადასახადების ჩათვლით.

2.2 შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, როგორც უნაღდო ანგარიშსწორებით, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში;

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1 „დამკვეთი“ ვალდებულია:

3.1.1. უზრუნველყოს შესასრულებელ ობიექტზე სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო პირობების დაცვა (მოსახლეობის მხრიდან მოსალოდნელი უარყოფითი რეაქციის უვნებელყოფა);

3.2 „შემსრულებელი“ ვალდებულია:

3.2.1. „დამკვეთის“ მიერ 3.1.1. პუნქტის შესრულებიდან მეორე დღესვე შეუდგეს სამუშაოს შესრულებას;

3.2.2. შეასრულოს სამუშაო ხარისხიანად და დამკვეთს მიაწოდოს სრულყოფილი დოკუმენტაცია. შესრულებულ სამუშაოში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში საკუთარი ძალებით და სახსრებით უზრუნველყოს მისი გამოსწორება მოკლე ვადებში.

3.2.3. უზრუნველყოს შემსრულებლის მიერ უხარისხოდ შესრულებული მასალის გამო მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. სამუშაოს დროულად დაუსრულებლობის შემთხვევაში „შემსრულებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო მთლიანი თანხის 0.2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4.2 თუ „დამკვეთმა“ სამუშაოს მიმდინარეობის პროცესში გადაწყვიტა სამუშაოთა მოცულობაში ცვლილებების შეტანა, მოსალოდნელ ცვლილებებზე ის აცნობებს „შემსრულებელს“ წერილობით;

5. განსაკუთრებული პირობები

5.1 „დამკვეთი“ პასუხს არ აგებს სამუშაოს შესრულების პროცესში „შემსრულებლის“ ტექნიკურ უსაფრთხოებაზე;

5.2 ფორსმაჟორული მდგომარეობის შემთხვევაში მხარეებს ეხსნებათ ამ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ასეთი მდგომარეობის არსებობის განმავლობაში;

5.3 მხარეები შეთანხმდნენ, რომ მუშაობის პროცესში წამოჭრილ სადაო საკითხებს გადაჭრიან ურთიერთშეთანხმებით და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ სასამართლოს;

6. დასკვნითი დებულებები

6.1 ამ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება მხარეთა ხელმოწერით დადასტურებული წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

6.2 ეს ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი მხარეებისთვის და ორივეს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა;

7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„დამკვეთი“

შპს „ნიუ პოინტ“

ქალაქი თბილისი,
პეკინის ქუჩა 27
სს „საქართველოს ბანკი“
გგსნ: 404883943

(გიორგი კიკვიტაძე)
დირექტორი

„შემსრულებელი“
ფ/პ არჩილ ვეფხვაძე
პ/ნ 01017028748
თბილისი პ.მელიქიშვილის ქ. 8/2
სს " საქართველოს ბანკი,, საბანკო კოდი - BAGAGE22
ა/ნ – GE21BG 0000000314003400GEL

არჩილ ვეფხვაძე

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ.თბილისი

25 მაისი 2018 წელი

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი ერთის მხრივ ფ/პ არჩილ ვეფხვაძე და მეორეს მხრივ შ.პ.ს“ ნიუ პოინტ“-ის წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი კირკიტაძის სახით ვადგენთ წინამდებარე მიღება- ჩაბარების აქტს შემდეგზე:

2018 წლის 20 მაისს დადებული ხელშეკრულების თანახმად შემსრულებელმა გაგვიწია მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტის შედგენის მომსახურება მისამართზე: ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , ხილბოსტნეულის ბაზის მიმდებარედ ს.კ: 01.19.15.003.017

შესრულებული სამუშაოს ღირებულება შეადგენს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარს ყველა კანონით დადგენილი გადასახადების ჩათვლით, რომელსაც იხდის დამქირავებელი.

მომსახურების ანაზღაურება მოხდება ხელშეკრულების შესაბამისად არაუგვიანეს 5 (ხუთი) საბანკო დღისა.

„დამკვეთი“

შპს „ნიუ პოინტ“

ქალაქი თბილისი,
პეკინის 27
სს „საქართველოს ბანკი“
გგსნ: 404883943

(გიორგი კირკიტაძე)
დირექტორი

„შემსრულებელი“
ფ/პ არჩილ ვეფხვაძე
პ/ნ 01017028748

თბილისი პ.მელიქიშვილის ქ. 8/2

სს " საქართველოს ბანკი,, საბანკო კოდი - BAGAGE22

ა/ნ – GE21BG 0000000314003400GEL

ხელმოწერა